

ლუციფერისა და აგენტოზის შრთიერბადაპახილი
(აკ. გაწერელიას შემოქმედებითი პორტრეტისათვის)

მოკლე შინაარსი

მეოცე საუკუნის მკვლევართა შესახებ საუბრისას შეუძლებელია გვერდი ავტორო აკაკი გაწერელიას მეცნიერულ და ლიტერატურულ საქმიანობას. უაღრესად რაფინირებული და ფართო განათლების მქონე მკვლევარი თავს უპირველესად მწერლად მიიჩნევდა. მეცნიერულ-კრიტიკულ ნაშრომთა გვერდით ლირებულია მისი ლიტერატურული ნაწარმოებები.

შხატრულ ნაწარმოებთა ოქმატიკა მრავალმხრივი და ორიგინალურია, სტილი დახვეწილი – რაფინირებული.

დღემდე ამ უთვალსაჩინოები მკვლევრისა და მწერლის შემოქმედება, ისევე როგორც მისი მეცნიერული ნაშრომები, სათანადოდ არ არის შესწავლილი. წინამდებარე ნაშრომი ამ ხარვეზის გამოსწორების მცდელობაა.

ნაშრომში განხილულია მისი ნოველებისა და მოთხრობების პრობლემატიკა.

საკვანძო სიტყვები: აკაკი გაწერელია, მეცნიერული და ლიტერატურული საქმიანობა, ნოველები, მოთხოვნები.

Makvala Davitadze

THE DIALOGUE BETWEEN LUCIFER AND THE ARCHANGEL FOR CREATIVE PORTRAIT OF AKAKI GATSERELIA

Abstract

Talking about twentieth-century scholars, it is inconceivable not to discuss the scientific and literary activities of Akaki Gatserelia. A scholar with a highly refined and broad-based education , he considered himself primarily a writer. His literary works are valuable alongside his scientific-critical works. The themes of his works are versatile and original, the style delicate - refined.

Up to this date, the creations of this most notable researcher and writer, as well as his scholarly works, have not been properly inspected. The present work is an attempt to correct this flaw.

The work discusses the problematics of Akaki Gatserelia's novels and short stories.

Key Words: Akaki Gatserelia, the scientific and literary activities, novels, short stories.

შესაფალი. რამდენიმე მეცნიერთან წამიკითხავს წუხილი იმის თაობაზე, რომ ქართული ლიტერატურის მკვლევართა შორის იშვიათად იხსენიება დიდი მეცნიერი და ფილოლოგოსი აკაკი გაწერელია. არადა, ქართული მეცნიერების აზრისა და მხატვრული სიტყვის ისტორიაში უდიდესი, გამორჩეული ადგილი უჭირავს მას, მეოცე საუკუნის ლიტერატურათმცოდნეს, მწერალს, პუბლიცისტს, მეცნიერს. ის იყო საინტერესო პიროვნება, ფართო ცოდნითა და სიღრმით. ნარკვევები, ესეები, პოლემიკური სტატიები, იმპრესიონისტულ-ბიბლიოგრაფიული ეტიუდები და მხატვრული ნაწარმოებები წარმოადგენს მის ბრწყინვალე დანატოვარს.

მიზანი. დღემდე აკაკი გაწერელიას, ამ უთვალსაჩინოები მკვლევრისა და მწერლის, შემოქმედება, ისევე როგორც მისი მეცნიერები ნაშრომები, სათანადო არ არის შესწავლილი. წინამდებარე ნაშრომი ამ ხარვეზის გამოსწორების მცდელობაა. ნაშრომში განხილულია მისი ნოველებისა და მოთხრობების პრობლემატიკა.

მსჯელობა.აკ. გაწერელია დაიბადა ფოთში 1909 წელს, გარდაიცვალა 1996 წელს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი 1932 წელს.

1934 წლიდან მუშაობდა სახელმწიფო გამომცემლობებში, შემდეგ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში, თეატრალურ ინსტიტუტშა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აგრეთვე ალ. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც 1957 წლიდან ხელმძღვანელობდა საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კათედრას და სიცოცხლის ბოლომდე ასრულდებდა თავის მოვალეობას. ლიტერატურულ სარბიელზე გამოვიდა 1927 წლიდან. ავტორია მონიგრაფიებისა: ნიკოლოზ ბარათაშვილი - 1945წ., გრიგოლ ორბელიანი - 1957წ., ვაჟა-ფშაველა - 1961წ.; აქვს გამოკვლევები ქართული ლექსთმულის საკითხებზე,

ფუნდამენტური ნაშრომი ქართული კლასიკური ლექსი - 1953, მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის „ტექსტოლოგიაში, გამოსცა პ. იოსელიანის „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ - 1936 წ., გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილების ორი ტომი, მომზადებული პქნენდა სხვა ტომებიც, რომლებიც, სამწუხაროდ, დაკარგულია. მას ეკუთვნის მოთხოვდები და ხოველები: „ჩირიურთი“, „იმამი ლოვაში“ - 1942წ., „ბოსქოს შეგირდი“ - 1942წ., „სიკვდილი ბარათაშვილისა“ - 1945წ., 1960 წ. გამოაქვეყნა ხოველები, 1972 წელს - მოთხოვდა „შამილი და მისი ნაამბობი“. იყო ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1954).

მიმაჩნია, რომ, აკ. გაწერელიას ლიტერატურული საქმიანობის დასაწყისად, უნდა ჩავთვალოთ 1926 წელი. ამ წელს 16 ჭაბუკი, ნიჭიერებით გამორჩეული, მწერალთა პირველი ყრილობის დელეგატის რანგში ნიკო ნიკოლაძისა და ვასილ ბარნოვის გვერდით იდგა. ამ ვაჭხს მთელი ცხოვრების მანძილზე სიამაყითა და სიამოვნებით ისხსნებდა. ისხსნებდა მაშინაც, როცა ის ჩემი მასწავლებელი და უფროსი მეგობარი იყო. „ფილოლოგიაში მე ხელდასხმული ვარ კორნელი კეკელიძისა და სიმონ ყაუხეჩიშვილის მიერ, ივანე ჯავახიშვილი კი ისეთივე სათაყვანებელია ჩემთვის, როგორც ილია ჭავჭავაძე“. გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელს კი, ანტიკური ხელოვნების უზადო მცოდნებს, თავის უსაზღვრო სიყვარულად მიიჩნევდა და მისადმი ერთგული დარჩა თავისი ცხოვრების მანძილზე. სულის არისტოკრატი, ასე მოიხსენიებდა ხოლმე ზვენთან, სტუდენტებთან, თავის მასწავლებელს - გრიგოლ წერეთელს.

ბატონი აკაკი გაწერელია იყო კლასიკურ კულტურასა და მწერლობაზე ორიენტირებული, ანტიკური ლიტერატურის უზადო მცოდნებ, უგანათლებულესი პიროვნება. გარკვეულწილად ეპატაჟური, გარკვეულწილად გამომწვევი, მახვილი სიტყვისა და ირონიის ოსტატი, ამავდროულად მიამიტი, ყმაწვილური ჟინითა და ემოციით სავსე. მისთვის უცხო იყო მონური ქედის მოხრა, ფეხქვეშ გაგება, მლიქვნებულობა. ის იყო დირსეული მეგობრობის ნიჭით დაჯილდოვებული. მეგობრობდა არაერთ ქართველ მწერალთან, მაგალითად, კონსტანტინე გამსახურდიასთან და იმდენად ახლოს იყვნენ ერთმანეთის სულიერებასთან, რომ დიდმა კონსტანტინემ თავისი შვილი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ზვიადი, მოანათვლინა პავლე ინგოროვასთან ერთად.

ილია ჭავჭავაძისა და პოლ გალერის მოტორულისათვის, სწორედ პოლ გალერი წარმოადგენდა იდეალს. ხშირად მიფიქრია, მისი ნიჭისა და ერუდიციის ადამიანს კიდევ უფრო მეტი უნდა დაეწერა და შეექმნა. ამ შემთხვევაში, მასზეა ხალხური სიბრძნით ნათქვამი ანდაზა: „სანამ ჭავჭავაძმა გზა გაზომა, გიჟმა ხიდი გადაირბინაო“. სწორედ ღრმა განათლება, ფაქტი ლიტერატურული გემოვნება იყო მიზეზი იმისა, რომ წერდა სიფრთხილით, წერდა დიდი ხნის ფიქრისა და გონებაში ასჯერ გაზომის შემდეგ. მას სახელად და დიდებად 324 გვერდიანი მონოგრაფიაც ჟოფოლი ქართული კლასიკური ლექსის შესწავლას რომ მიუძღვნა (ქართული კლასიკური ლექსი). მახვილი, რითმა, სტროფი), აგრეთვე უდიდესი შრომის შედეგია მისი 450 გვერდიანი ნაშრომი „ნარკვევები, პორტრეტები, ლექსთმცოდნეობა“.

ამჯერად ჩვენი ყურადღების საგანს წარმოადგენს აკ. გაწერელიას მხატვრული სიტყვა – მისი ხოველები და მოოხრობები. თავადაც თავს ჯერ მწერლად, შემდეგ კი მკვლევრად და მეცნიერად მიიჩნევდა. არასოდეს დატოვო შენს ხაწერში დაუმუშავებელი ფრაზა, არ გადადო მისი გარანდვა, მერე გაგაწამებს; არასოდეს არ დაიწყო წერა, თუ შინაგანად მოუმზადებელი ხარ. და კიდევ ერთი: მხოლოდ სუფთა ქადალდეზე წერე, ქადალდის ხარისხი ხანდახან უშუალოდ მოქმედებს ხაწერის შინაარსზე – უშურეველად არიგებდა დამწეულ მწერლებსა და კრიტიკოსებს, მათ შორის გურამ ასათიანს.

და რაც მთავარია, ბატონი აკაკი წარმოადგენდა ღრმა შინაგანი დიალოგების უნარის მქონე ადამიანს. აწმყო და გარემო არ იყო მისი სულიერების დაამგების წყარო. წარსულის დიდ აჩრდილებს ემუსაიფებოდა: დანტე, პასკალი, როზანოვი, ნილს ბორი, პოლ ვალერი და სხვ. მცირე ჩამონათვალია, ფიქრს რომ უამებდა ღრმად ერუდირებულ მეცნიერსა და შემოქმედს...

აკ. გაწერელიას მხატვრული შემოქმედება სამ მძლავრ ნაკადს წარმოადგენს. ანტიკური და ბიზანტიური კულტურის სიდიადითა და შოთაბეჭდილებითაა ნასაზრდოები არაერთი ნაწარმოები, მაგ. „ფაიდას გამოცხადება“, რომელსაც რომანი ეტიუდი უწოდა. ცნობილია მისი დამოკიდებულება და უდიდესი სიმპათია ნეტარი ავგუსტინეს პიროვნებისა და მეტკვიდრეობის მიმართ. სამწუხაროა, რომ მას აუსრულებელი დარჩა უდიდესი სურვილი, დაეწერა მონოგრაფია ავგუსტინეს შესა-

ხებ. მისი ბედისწერა იყო ალბათ ის, რომ ის არ ფლობდა არც ერთ ევროპულ ენას, რამაც გარკვეულწილად შეაფერხა და ვერ დაასრულებინა ეს დიდი საქმე.

მეორე ნაკადს მისი ისტორიული მოთხოვებები შეადგენს (სიკვდილი ბარათაშვილისა, იმამის ერთი დღე, ამზაოთ, ჩირიურთი, იმამი ლოქაში, ბოსკოს შეგირდი; ორჯული, ნაზარის უკანასკნელი ლოცვა). გულდასაწყვეტია მისი ბეორე, დიდი, ვერშეუსრულები სურვილი, შემოქმედებით-სამწერლო საქმეში, შეექმნა შამილის შესახებ დიდი რომანი, როგორც თავად ამ-ბობდა ხოლმე ეპოპეა.

საჭირო დროს მოიხელოთ ებდა თუ არა, თითქოს აზუსტებდა და ერთგვარად აკვირდებოდა მოსაუბრებებს. ყვებოდა საინტერესო დეტალებს თავისი მომავალი რომანიდან... ესათუთებოდა შამილის აჩრდილს, როგორც კავკასიის თავისუფლებისათვის მებრძოლ იდეალურ რაინდა... შამილს უძღვნა მან თავისი ისტორიული მოთხოვები: „იმამის ერთი დღე“, „იმამი ლოქაში“, „ბოსკოს შეგირდი“.

თავისუფლების იდეა მეცხრამეტე საუკუნის მთავარი ორიენტირი და დირებულებაა. არაერთი ქართველი მწერლის შემოქმედებაში არის დახატული შამილის სახე, სახე კავკასიის ხალხთა თავისუფლებისათვის დაუცხერომელი და თავდადებული მებრძოლი ადამიანისა. ქართულ ლიტერატურაში შამილის სახე წარმოჩნდა, როგორც დაუმორჩილებლობის პარადიგმა. ასეა დახატული მთის არწივის – შამილის სახე აკაკი წერეთლის („შამილის სიზმარი“), ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, გრიგოლ რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, ანა კალანდაძის და სხვათა შემოქმედებაშიც. აკაკი გაწერელიას ნაწარმოებებში დახატული სახე იმამისა მონუმენტური და ადამიანური დირსებებითაა სავსე. ნაწარმოებს „იმამის ერთი დღე“ ეპიგრაფად წამდლვარებული აქვს აპ. რუნოვსკის დღიურის ჩანაწერი, რომელიც 1861 წლით თარიღდება: „თხემით ტერფამდე ფილოსოფოსი-სტოიკოსი. უდარიბესი და უდელვებელი ფაკირი მოელს ქვეყანაზე. თავისსავე თავის ტყვე“ – ეს მინაწერი ავტორის ხერხია, რომ შეამზადოს მკითხველი შამილის დიდებულების სისრულით აღსაქმელად. აღწერს 1858 წლის ზამთრის ერთ სუსხიან დღეს გედენოში და შამილს, უმკაცრეს სტოიკოსს, გვიხატავს ადამიანურად თბილი დამოკიდებულებით. ეს დამოკიდებულება იკითხება შამილის ქცევა-მანერებში თავის საყვარელ კატასთან მიმართებაში. „გაუფანტავი მოწყენა არ-

გუნა შამილს უზენაესმა“, - წერს ავტორი, და მეტაფორული ფრაზით ხატავს გარემოს, რომელშიც შამილი იმყოფება: „მისი სარქმლიდან კარგად ჩანს დათვლილი ჩერმოილამი, უამიდან უამზე არემარეს ყვავები გადაუფრენენ“. ყვავების გადაფრენა ერთგვარი ალეგორიაა მტერთა შემოსევისა.

ნაწარმოებში „იმამი ლოუაში“ რუსებთან ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დამარცხებული შამილის სახეა დახატული, რომელიც ტყვეობისა და დამარცხების შემდეგაც ზოად ბუნებასა და წონასწორობას რომ ინარჩუნებს. რა თქმა უნდა, ოპერაში, წარმოდგენის დროს ლოუებსა და პარტერებში წარმოქმული რეპლიკებიც წვდება მის ყურს: აი, გმირის ტიპი!

არა ეს აგაზაკის ტიპია! მოწამის ტიპია! რა უძირო სევდაა... რუს ქალბატონთან ორიოდე ფრაზით გასაუბრება ვერ წყვეტს მთის ამჟყის ფიქრს. კარეტაში ჩამჯდარი იმამი თითქოს თავის თავს ელაპარაკება: „მხოლოდ უზენაესის კარნახით გადახდილი ომია ტკბილი და მწარეც... ვალლაპ!“ ავტორი შამილის სახეს უდიდესი ხელოვნებითა და სიდიადით აღწერს და ბოლოს ერთგვარად აფასებს: „გალიაში მთვლემარე ლომი, რომელსაც ძველი ბუნაგი ეზმანება“. „ბოსკოს შეგირდის“ ფინალში ა.კ. გაწერელია ერთგვარად აჯამებს და კრავს შამილის სახეს: „ოცდახუთი წელი ვმეთაურობდი პაზავათს, დავმარცხდი, მაგრამ საიქიოში პირნათლად წარვსდგები უზენაესის წინაშე. აკი მან დააწესა კანონი, რომელიც რწმენისთვის გადახდილ ომს თუ ჯამბაზის თვალმაქცობასაც ერთხაირად უაზროსა ხდის. ჩვენ ყველანი სათამაშო ვართ განგების ხელში!... მსმენელისათვის გაუგებარი დარჩა კანონის სახელი. შამილი მიუხვდა მათ, ტახტის ზურგს მიყურდნო და გასაგონად წარმოთქა: „ალ-მავთ“ (სიკვდილი). მოხმობილი კონტექსტი დინამიკურად, ექსპრესიულად და ღრმა აზრითაა დატვირთული. აქ იჩენს სწორედ თავს ავტორის ღრმა, მხატვრული ოსტატობა.

უდიდესი ტრაგიზმითა და ფსიქოლოგიური ხედვითაა დახატული თავისუფლებისმოყვარე კავასიელი ნაიბის ამზათის სახე ნაწარმოებში, რომელსაც აგტორმა „ამზათი – ანუ სევილიის დილა მთაში“ უწოდა.

ნაწარმოებში ცოცხალი, იდეალური სახეა დახატული ნაიბისა, რომელმაც ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი არჩია. „ცხენზე შემოისვა ცოლ-შვილი, პატარა მმისშვილი შამა და ამზათის ჯალაბი ორბივით გაქროლებული ცხენითურთ ითუმ-ყალას

უფსკრულში გადაეშვა“, - ასეთი ყრუ სიჩუმითა და მრუმე ფერებით ხატავს ავტორი გაპარტახებული აულის სურათს.

ავტორი აღნიშნულ ნაწარმოებს ორიგინალური მინაწერით ავსებს, რომელსაც ეპილოგის მაგიერი უწოდა და რომელშიც გადმოცემულია მისი, როგორც ადამიანის დამოკიდებულება ამზათის სახელისა და გმირობის შესახებ: „ამზათის სახელი და გმირობა შემოუნახავთ მარტოოდენ კავკასიის ომის მტვერ-მიყრიდ მატიანებს“, ხოლო ამზათს თავლინელ მმას უწოდებს: „მე შენ გიგონებ, თავლინელო მმაო, ამ სტრიქონებში“; ბოლოს კი ასეთივე უშუალობით მიმართავს არა მხოლოდ ამზათს, არამედ ზოგადად მკითხველსაც. მიმართვა მხატვრული სიტყვისა და პატრიოტული აზრის უბრწყინვალესი ნიმუშია: „სვებედნიერნი ისინი კი არ არიან, ვინც პაზავას ეწევიან, არამედ ნაძირალათა და გარეწართა ბრძო, რომელიც ხანჯლებს მაშინ იშიშვლებს, როცა მას ქვეყნის მტრის ძალა უმაგრებს ზურგს და ეს ბრძო მუდამ მზად არის ყველა თავმოყვარის, ნიჭიერისა და პაზავათისათვის თავდადებულის დასაღვავად. ნურაფერს გაიკირვებ შენს მარადიულ ძილში, თავლინელო ვაჟკაცო. შენი ხვედრი შენი ლამაზი ქვეყნის საერთო ბედის ნაწილია მხოლოდ“. ამ მაღალმხატვრულ და ღრმა ფილოსოფიური აზრის სიტყვებში აშკარად ჩანს ავტორის პიროვნული დამოკიდებულება სამშობლოსა და თავისუფლების მიმართ. უდავოდ, ავტორი გმირის პორტრეტის ხატვის დიდოსტატია.

უადრესად საინტერესო, ორიგინალური და მნიშვნელოვანია მის შემოქმედებაში ტრაგიზმით გაჟღენთილი ნაწარმოები „ნაზარის უკანასკნელი ლოცვა“.

სშირად ყოფილა, ჩემთან, როგორც მოწაფესთან, საუბრისას ხაზგასმით აღუნიშნავს ამ ნაწარმოების სიყვარული.

ნაწარმოებში გადმოცემულია ტრაგიკული ამბავი, მიტროპოლიტ ნაზარის დახვრება 1924 წელს. მიტროპოლიტი ნაზარი (ერისკაცობაში იოსებ ლუჟავა), დაიბადა იმერეთის სოფელ ჯიხაიშში. მან მიიღო სასულიერო განათლება. ოჯახის წევრების ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ, 1904 წელს ბერად აღიკვეცა. 1918 წელს დადგინდა ქუთათელ მიტროპოლიტად. მონაწილეობდა 1917 წელს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაში. 1921 წლის თებერვალში, საბჭოთა რუსეთის ინტერვენციის პერიოდში, თბილისის სიონისა და მცხეთის სცეტიცხოვლის განძულობა ქუთაისში გახიზნეს და დამარხეს ბაგრატის ტაძრის მირში მდებარე ნაზარის სამი-

ტროპოლიტო რეზიდენციის ეზოში. ბოლშევკიკბმა განძს მიაგნეს, ნაზარი დააპატიმრეს და დახვრება მიუსაჯეს, რომელიც შემდეგ პატიმრობითა და პირადი ქონების კონფისკაციით შეეცვალა. 1924 წლის აპრილში ამნისტიის საფუძველზე გათავისუფლებული ნაზარი სამწეოს დაუბრუნდა, მაგრამ იგი კვლავ დააპატიმრეს 1924 წლის 2 აგვისტოს. რამდენიმე კვირიანი დაკითხებისა და პატიმრობის შემდეგ, მიტროპოლიტი ნაზარი და მისი ოანქხლები სასულიერო პირები (დეკანოზი გერმანე ჯაჯანიძე, დეკანოზი იეროთეოზ ნიკოლაძე, მღვდელი სიმონ მჭედლიძე და დიაკონი ბესარიონ კუხიანიძე) ქუთაისის მახლობლად, საფიჩხიის ტყეში დახვრიტეს იმავე წლის 1 სექტემბერს. 1995 წლს საქართველოს საეკლესიო კრებამ მოახდინა მიტროპოლიტ ნაზარისა და მასთან ერთად მოკლულ სასულიერო პირთა კანონიზირება, ხსენება დაწესდა ახალი სტილით 27 აგვისტოს.

ნაწარმოებში დახატულია უკანასკნელი დღე ნაზარის სიცოცხლისა. მისი და პოლკოვნიკ ნიკარაძის დიალოგი. დახატულია პოლკოვნიკის პორტრეტი უარყოფით და მუქ ვერებში.

ქუთაისის სემინარიიდან გაძევებულ ნიკარაძეს განათლება რუსეთში, პეტერბურგში მიუღია, რუსეთის საელჩოების წევრადაც უმუშავია. ბუნებით ავანტიურისტი, – ასე აფასებს მწერალი მას. უმსახურია ბევრგან და დაწინაურებულა კიდევაც ლირსებისა და ოაგმოუგარეობის გაყიდვის ფასად. „უთვისტომოს არავინ ებრალებოდა“, – წერს მის შესახებ ავტორი. ეს დეგრადირებული პიროვნება ახლა სამშობლოში დაბრუნებულა, ახლა აქ უნდა გაასწოროს მიწასთან უველავერი. ნიკარაძისა და ნაზარის დიალოგში ორივე ადამიანის სახე ჩანს. ჩანს დიამეტრალურად სხვადასხვა მხარეს... ესაა დიალოგი ეშმაკისა და ანგელოზისა. დაპირისპირება დმერთის და უღმერთობისა. ნიკარაძე თავს იმშვიდებს; ვერ იცნო სემინარიელმა თანატოლმა. დადგა საბედისწერო ჟამიც: სადორიის ტყეში უნდა დახვრიტონ ტყვები. ნაზარი უკანასკნელ ლოცვას ადავლენს. მოულოდნელად ის მყისიერად გაეშურა პოლკოვნიკისაკენ. მის წინ შედგა, ჯგარი მაღლა ასწია და მიმართა: – „სულისათვის შენისა ვიღოცებ უკანასკნელად შვილო, ვლადიმერ, რამეთუ არღარა ცოცხალ ხარ! მოგიტევნეს უფალმან ყოველივე მეოხებითა დგთისმშობლისათა“. პოლკოვნიკს თავზარი დაეცა, ნაზარმა თურმე იცნო, მისი სახელიც კარგად ახსოვდა. ნაზარი დახვრიტეს, მაგრამ პოლკოვნიკი ცოცხალ-

მკვდარია, ნაზარის უკანასკნელმა ლოცვამ ოდნავ მაინც შეასრულა თავისი დანიშნულება. უდიდესი მხატვრული ოსტატობითაა დახატული მლოცველი ნაზარისა და ლვითის მგმობი ნიუარაძის სახე. ამ ნაწარმოებითაც პასაჟებისა და კოლიზიების ხატვის დიდოსტატად გვევლინება ავტორი.

უძველესი, ანტიკური, ისტორიული ამბებისა და პიროვნებების ცხოვრებათა მხატვრულად აღწერის გვერდით ასევე საინტერესო მესამე ნაკადი მის შემოქმედებაში. ესაა სოციალურ და ყოფით ოქმაზე შექმნილი ნაწარმოებები: „მხატვრის ნაამბობი“, „ამბოხი“, „საბეჭისწერო შემთხვევა“, „ცაცა“, „თხუპნია“, „მოურავი“. ამ ბელეგტრისტულ ნაწარმოებთა პერსონაჟები არიან უბრალო ადამიანები, თავიანთი ახირებული თვისებებით, დარღითა და ფიქრებით. ამ ფონზე მწერალი საინტერესოდ და ღრმა ფსიქოლოგიზმით გვიხატავს მათ სულიერ პორტრეტს, მათ სულიერ ძღველვარებას, შეფოთსა თუ ფაქიზ, ამაღლებულ გრძნობას.

კურადღება მინდა გავამახვილო ერთ საინტერესო ნაწარმოებზე, რომლის სათაურია „თხუპნია“. ეს პატარა ნაწარმოები ერთგვარ იდეურ ნათესაობას იხენს ნ. ლორთქიფანიძის ნოველასთან „ქორწილი“, აკ. გაწერელიას მოთხოვნაში „თხუპნია“ სიყვარულის თემა გარეულ, მკაფიოდ დახატულ სოციალურ გარემოშია განვიხილი. პიროვნული დირსება იქცევა წვრილმან პატივმოყვარეობად, უსაგნო ამპარტავნობად, რომელიც სხვა ადამიანების დირსების უზიფარი დამცირებით ისხამს ხორცს. რჩეული ქალისადმი მზრუნველობას და ერთგულებას გალაპრუობით ზერელედ შენიდბული გულგრილობა და უპატივცემულობა, სასტიკი ეგოიზმი ცვლის.

ნაწარმოების მთავარი გმირი ემა ულამაზესი ქალია, რომელიც გათხოვებიდან თვრამეტი წლის მანძილზე, თავდახრილი, მდუმარედ იტანს ყველაფერს, რადგან უკვარს ქმარი, უჩა. ემას ცხოვრება არის ბავშვურად სუფთა და წრფელი, მიმნობი ადამიანის ტრაგიკული ბედი და თავგადასავალი. ემა მსხვერპლია, განწირული მსხვერპლი მულისა, რომელიც ცივი, ულმობელი და უგულო ადამიანია. ფაქტია, ემა გახდა მისი ინტრიგებისა და ჩაგვრის ობიექტი. ემა მსხვერპლია და როგორც ნ. ლორთქიფანიძის ნოველის გმირის, ქეთოს, ცხოვრება, მისი ცხოვრებაც ფსიქიკური აშლილობით დამთავრდა.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ აკ. გაწერელიას შემოქმედებისათვის ნიშანდობლივი და დამახასიათებელია ქალის ბუ-

ნების გახსნის ოსტატური ხერხები, ღრმა ფსიქოლოგიზმი და ორიგინალურობა. ასევა მოთხოვობაში, რომლის სათაურია „ცაცა“.

მოთხოვობებსა და ნოველებში, აშკარად იკვეთება ავტორის სიმპათია თუ ემპათია ჩაგრული ქალების მიმართ. ამ მხრივ არც მისი ნაწარმოები „ამბოხია“ გამოხაკლისი.

აკ. გაწერელიას მოთხოვობათა შორის საინტერესოა „სიკვდილი ბარათაშვილისა“, რომელშიც ტრაგიკული ბედის პოეტის სიკვდილის წუთებია ასახული.

ადწერილი გარემო ძირითადად მუქ ფერებშია დახატული, ის ბარათაშვილის სულიერი მდელგარების გამოძახილია თითქოს. მარტობაში მყოფი პოეტის სიცოცხლის ბოლო წუთები ავტორს გადმოცემული აქვს უდიდესი მხატვრული ოსტატობითა და ისტორიული სინამდვილის გათვალისწინებით. მხატვრული სიტყვა სადაა და დამაჯერებელი.

აკ. გაწერელიას ნებისმიერი ნაწარმოების ყოველი წინადაღება მხატვრული ფორმით დახვეწილი, აზრსა და გონებაშია გადახარშეულ-დახვეწილი.

აკ. გაწერელიას ტიპის შემოქმედი შეუძლებელია დავიწყებული იყოს, ასეთები სამარადუამოდ მკვიდრდებიან ერის მეხსიერებაში, რადგან ის მაღალ ესთეტიკურ ლირებულებებზე იყო ორიენტირებული. ხელოვანი, რომელიც ატარებდა დროის სტიგმას, მაგრამ ქედი არასოდეს მოუხრია.

აკაკი გაწერელიას ეკუთვნის სიტყვები: „მწვანე ფოთოლი შემოდგომით ყვითლდება, აწყდება ნის ყლორტს და ფარფატით ეშვება დედამიწაზე და მრავალი ასეთი ფოთოლი ოქროსფერ ხალიჩად ეფინება ეზოს. ნურც ერთ ფოთოლს ნუ მოსწერებოთ თქვენი სულიდან, მანამ, სანამ ის ოქროსფერს არ შეიძენს“. თავადაც ასე იყო, არასოდეს არ მოწმვებილა მისი სულიდან უმწიფარი სიტყვა, ოქროფერის გარეშე.

მწერალი და მეცნიერი დიდად აფასებდა მაღალ ხელოვნებას: „კარგ სტილს ლიუციფერისა და ანგელოზის ურთიერთგადაძახილი წარმოშობს“, – წერდა იგი.

სწორედ ამ „გადაძახილითა“ შობილი მისი შემოქმედების თითოეული ბწვარედი თუ სიტყვა. მის ნაწარმოებებში ერთნაირად ატყვევებს და ნიბლავს წამკითხველს აზრის სიღრმე და გადმოცემის დახვეწილი ფორმა, ავტორის რაფინირებული, მაღალმხატვრული და ლირიკული ბუნება. განსაცვიფრებელი ერუდიცია მისთვის დამახასიათებელ თვითმყოფად სტილშია

მოქცეული და, როგორც თვითონ მიიჩნევდა, სულიერი განცდებისა და ფიქრების ვიბრაციის დროს ეხმარებოდა.

აკ. გაწერელიას მეცნიერული ნაღვაწ-ნაფიქრალი, მისი შემოქმედება, მოთხოვობები თუ ნოველები გვიჩვენებს მის სულიერ სიმაღლეს. მიუხედავად იმისა, რომ რთული ცხოვრება გაიარა ჰეშმარიტად ევროპული რანგის მეცნიერმა, რომელსაც ხელს უშლიდნენ, აბეზდებდნენ, გამუდმებით ეპრძოდნენ, მაინც ყველაფერს გაუძლო, ქედი არასდროს მოუხერია.

აკაკი გაწერელიას შემოქმედების მკითხველი უნდა იყოს მაღალი ლიტერატურული გემოვნების მქონე, რადგან მის შემოქმედებაში „ირხევა ამბების, ვნებების, იდეათა და ფანტაზიათა გრანატიოზული კალეიდოსკოპი“. შემოქმედი ანტიკურობის გადმოძახილს თანამედროვეობის ყოფაში ეძებდა. პოულობდა შესაფერის ფერებს. მან, როგორც მეცნიერმა და შემოქმედმა, იცოდა: „წიგნების ქექვას“ ერთი ნაყოფი მოაქვს. ისინი გვამდიდრებენ, გვაიმუდებენ ან იმედს გვიცრუებენ, – საქმე ისაა, რა მიმართულებით არხევს ჩვენი ხელი თვითონ კალეიდოსკოპს“.

მისი ხელი კი ამ კალეიდოსკოპს ყოველთვის სწორად, მიზანმიმართულად და მასშტაბური ხილვების საჩვენებლად არხევდა. ქმნიდა მხატვრული სიტყვის ისეთ ფერად, ხატოვან მოზაიკას, რომელიც მარადიული ელვარების ნიშნითაა აღბეჭდილი დროსა და სივრცის გარეშეც.

გამოყენებული ლიტერატურა:

გაწერელია, 1985 – გაწერელია აკ. ნოველები და მოთხოვები. თბ., 1985;

სიმონ ხუნდაძე, აკაკი გაწერელია, 1934 // მნათობი. - თბილისი, 1934. - 10. გვ. 184-185

გაწერელია, 1962. აკაკი გაწერელია. წერილები და ნარკევები, ლიტერატურული ძიებანი, პორტრეტები. თბილისი, 1962;

გაწერელია, აკაკი. შამილი, 1962 // რჩეული ნაწერები : [გ.] 1: ა. გაწერელია. წერილები და ნარკევები, ლიტერატურული ძიებანი, პორტრეტები. თბ., 1962;

გაწერელია, აკაკი, შამილი 1962 // რჩეული ნაწერები : [გ.] 1: ა. გაწერელია. წერილები და ნარკევები, ლიტერატურული ძიებანი, პორტრეტები, თბ., 1962.